11 (23) ნოემბერს, 1866.

№ 37.

პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

[გა]გზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:
[მთ]ელის წლისა — 7 მან.
[1]0-ის თვისა — 6 —
[ნა]ხევრის წლისა — 4 —
[სა]მის თვისა — 2 — 50 კ.

გაუგზავნელათ:
— — — 6 მან.
— — — 5 —
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

[ცა]ლკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ფული.

---

**შინა-არსი:** ტფილისი, 9 ნოემბერს. მმართებლობის განკარგულება: — უმაღლესი ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში. — უმთავრესის შტაბის ცირკულიარი. — ბრძანება კავკასიის არმიაში. — კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. კავკასიის სახაზინო პალატისაგან. ვარანცოვის ძეგლი. კორრესპონდენცია. — წიგნი რედაქტორთან. პოლიტიკა: — ანგლია. — ფრანცია. — იტალია. ტელეგრამმები.

„დროების“ რედაქცია საჭიროთ რაცხს თავის მკითხველებს გამოუცხადოს, რომ დასაწყისითვე ეს გაზეთი გამოდის და იგზავნება თავისს დროს: რა ნომერიც ფოჩტით სხვა და სხვა მხარეს მიდის, ყოველთვის წიგნში თვლით იწერება და ფოჩტამტს ხელ-წერილით ჰბარდება. როგორც გვესმის, საზოგადოთ ყველას მისდის. ორჯელ — სამჯერ კი ყური მოვჰკარით, ვითომც ზოგიერთს ხან და ხან ნომრები აკლდებოდეს. ამისთვის რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ჩვენს მკითხველებს, ამ გვარს შემთხვევაში დროით აცნობონ ხოლმე იმას წიგნით, რომ იმან თავისის მხრით ღონის-ძიება მიიღოს ხოლმე.

---

**გასწორება.** „დროების“ № 36 კორრესპონდენციაში ვარძიის მონასტერზედ მეთორმეტე საუკუნის მაგივრად, რომელშიაც თამარ დედოფალი მეფობდა, მეთოთხმეტე საუკუნეა მოხსენებული.

---

# განცხადება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო

### გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხთ ვსთქვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედვე.

ცხადია ყველასთვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა პაპებისთვის იყო საჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისთვის გამოსადეგი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრენი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროთ მიგვაჩნდა, ის ჩვენ დროს უვარგისათ მიაჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კანონს ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ სცხოვრებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტოვოთ ყოველივე უვარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რომელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგათ მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებით დანიშნული.

გაზეთის პროგრამმა დარჩება ისევ ის, რომელიც იყო გამოცხადებული წლეულს.

ჩვენ თვითონვე ვღვიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულეთ, რაც დავპირდით მკითხველებს; მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენის პროგრამმის სრულათ ასრულება...... ამასაც კი ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინეობა არ მოგვიკლია; მაგრამ ამისი განსჯა თითონ მკითხველებისთვის მიგვინდია. ესეც უნდა ვამოვაცხადოთ, რომ ამის შემდეგ „დროებაში“ ხშირათ იქნება იმისთანა სტატიები, რომელნიც ჩვენს ქვეყანას შეეხებიან. მომავალს წელიწადში დაიბეჭდება ვრცელი სტატია: **კავკასია**, ანუ ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული (*) ცნობები ამ მხარეზედ. ის ეკუთვნის „დროების“ თანამშრომელს დიმ. ბაქრაძეს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.**

(*) ეთნოგრაფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის ჩვეულების აღწერას.

---

### ტფილისი, 9 ნოემბერს.

„დროების“ რედაქცია საჭიროთ ხადის, რომ თუ ამ გაზეთში იქნება კორრესპონდენცია, რომელიც შესანიშნავს საგანს შეეხება, ამ საგანზედ თავისს თავათაც მოილაპარაკოს ხოლმე წინა სტატიით. ეს სტატია იქნება ან იმავე ნომერში, რომელშიაც კორრესპონდენციაა, ან არა და — მომავალში. ამ სახით გაზეთს მომატებული სიცოცხლე მიეცემა; სხვა და სხვა საგნებს ის უფრო ხშირათ განმარტავს, და მაშა სადამე, უფრო ადვილათ გაავრცელებს საზოგადოებაში ცნობებს, რომელნიც, რედაქციის აზრით, უნდა შეიცავდნენ ისტორიას, გეოგრაფიას და ეთნოგრაფიას (ჩვეულებას) საქართველოსას და კავკასიისას, აგრეთვე სამეცნიერო საგნებს. ამისთვის ვთხოვთ „დროების“ განათლებულს მკითხველებს, რომ არ მოგვაკლონ ხოლმე კორრესპონდენციები სხვა და სხვა შემთხვევაებზედ, რომელნიც უმეტესათ ამ მხარეზედ უნდა იყვნენ. ჩვენი საზოგადოება საჭიროებს უფრო იმისთანა ცნობებში, რომელნიც ჩვენს მხარეს შეეხება.

„დროების“ წასულს ნომერში იყო კორრესპონდენცია ვარძიაზედ... ვარძია მდებარებს ახალციხის მაზრაში, ვიწრო ხერთვისის ხეობაში, მტკვრის პირათ. ის მთლად გამოქვაბულია კლდეში: იქ მრავალი სენაკია და რამდენიმე ეკკლესია. ვარძია იყო ვრცელი მონასტერი და დიდათ განთქმული იმ დროს, როდესაც საქართველოს მეფობა ბრწყინავდა. ქართლის — ცხოვრება გვიამბობს, ვითომც ეს მონასტერი იყოს დაწყებული თამარ დედოფლის მამისაგან მეთორმეტეს საუკუნეში და თვით თამარისაგან შესრულებული და შემკული. აქვეა ეკკლესიაში თამარის სურათი, რომელიც საქართველოში გავრცელებული. ვარძიას ჰქონია დიდი სიმდიდრე, სოფლები ყმებით და ვენახები ახლო-მახლო. ახლა იმის მახლობლათ ხეობაში ქართველობა აღარა სცხოვრებს: აქ დგანან უფრო ქურთები. მონასტერი შევიწროებულია. ამ ცოტა-ხანში ერთმა ბერძენმა თავისის ხარჯით და შრომით გამოწმინდა ქვაბები და დახატა ეკკლესია; თვითონაც იქ დასახლდა და მიიზიდა ორი-სამი ბერი... ამ მხარის საზღვარი ოდესმე იწყობოდა ბორჯომის ხეობის შესავლიდამ და თავდებოდა ერთის მხრით — შავის ზღვისპირათ და სხვა მხრებით — ტრაპიზონის მიდგმამდე და ყარსის მახლობლათ. იმისი უმთავრესი ნაწილები იყო ოცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, სამცხე, ერუშეთი. აქ არის ორი დიდი მდინარე — მტკვარი, რომელიც კასპიის ზღვას ერთვის და ჭოროხი, რომელიც შავს ზღვას ერთვის. მთელი მხარე მთიან — მინდვრიანი ადგილია, მშვენიერის ჰავით შეზავებულია და სხვა და სხვა გვარის ნაყოფიერების მომცემია. ეს არის უკეთესი საქართველოს ნაწილი. აქ არის მრავალი და უცხო ნაშენი ეკკლესიები და ციხესიმაგრეები. აქ ახლა ცხოვრებენ ქურთნი, ებრაელნი, სომეხნი და ოსმალნი. მომატებული ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველები არიან; იმათში მართლ-მადიდებლობის სარწმუნოება უჭირავთ 500-მდე კომლს, რომელნიც უფრო ახალქალაქის უჩასტკაში არიან გაბნეულნი... დანაშთენს ქართველობასაც გულში დაცული აქვთ მამა-პაპის ძველი სარწმუნოება.

ადგილი, რომლის საზღვრებიც ჩვენ უჩვენეთ, დიდათ შესანიშნავია ქართულს ისტორიაში. იმისი უძველესი სახელი იყო მესხეთი, რომელსაც უწოდდნენ როგორათაც ქართველები, აგრეთვე უცხო ტომნი; აქამომდე იქაურნი მცხოვრებნიც მესხებათ იწოდებიან. სხვა სახელებიც ჰქონდა მესხეთს: ზემო-ქართლი, სამცხე , საათაბაგო. უფრო უძველესი ამ სახელებში მესხეთია: იმას იხსენებენ თვით ებრაელების მწერლები — მოსე (1) და წინასწარმეტყველი ეზეკიელი (2) და ბერძნის მწერლები სტრაბონი, პროკოფი და სხ. — ისინი მესექს, მოსეხს, მესხს, აგრეთვე ტუბალს, ტიბარს, ტიბარენს, ყოველთვის ერთათ უჩვენებენ, და თანა-ხმათ ამბობენ, რომ მესეხნი მესხნი არიანო, ტუბალნი — იბერნიო. ამის დასამტკიცებლათ რამდენიმე საბუთი შემოაქვს ფრანცუზის მწერალს ვივიან სენ-მარტენს თავისს შესანიშნავს თხზულებაში: Recherches sur les populations primitives du Caucase. Paris. 1847. თვით იმ მთებს, რომელნიც მცირე-აზიის მთას ტავრს ერთვიან და ახალციხის მხარეს მოსდევენ, უწოდდნენ მოსხიის მთებათ. ძველათვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მესხებს და ტიბარენებს ერთი შთამომავლობა და ერთი ენა ჰქონდათ. ვივიანი სხვათა შორის ამას იმითი ამტკიცებს, რომ სტრაბონი, რომელიც ცხოვრებდა 1-საუკ. ქრისტეს წინ, ქართველებს, მესხებს და ლაზებს ანუ ჭანებს ერთის სიტყვით იხსენებსო... de peuples tibaréniens (3).

ვისაც კი მესხეთის მხარეში უმგზავრნია და იქაური ხალხი უცვნია, ის ადვილათ დარწმუნდება, რომ მესხნი ყოვლის ფრით წინ იყვნენ დანაშთენს ქართველებზედ. ისინი აქამომდე ლაპარაკობენ უკეთესს ქართულს ენას; ზნეობა და ყოფა-ცხოვრება იმათ აქვთ ახლაც კარგი, თუმცა დიდის-ხნით შევიწროებულნი არიან. იქაური ეკკლესიები არის გასაკვირველის ხელოვნებისა.... რომ მესხნი წინ უნდა ყოფილიყვნენ მთელს საქართველოს ტომში, ამისი დამტკიცება ძნელი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ძველათ საქართველოს დამოკიდებულება ჰქონდა მოწინავე ხალხებთან — ბერძნებთან, რომაელებთან და ვიზანტიელებთან. ამათთან უფრო ახლო ცხოვრებდნენ მესხნი და კოლხიდელნი, ანუ იმერლები. აქ იყო იმათი კოლონიები. მესხნი ხომ სრულებით ბერძნების და რომაელების მოსაზღვრენი იყვნენ. რამდენათაც მოშორებული იყო ქართველობა იმათზედ, იმდენათ ის უფრო დაბლა იდგა. ეს ახლაც ასე არის: აბა ყურადღებით თვალი გაადევნეთ ჩვენს ხალხს იმერეთიდამ და ახალციხის მაზრიდამ ქართლისკენ და კახეთისკენ. ხალხი აქ შრომის მოყვარეობით იყო ძველათვე განთქმული. დუბუა დე მონპერეს მოჰყავს მესხეთის აღწერაში პროკოფის სიტყვები, რომელიც მე VI საუკ. ცხოვრებდა და რომელიც ამბობს: „მესხეთი თუმცა მთიანი ადგილიაო, მაგრამ ძალიან მაღალი არ არისო და დიდათ ნაყოფიერიაო; თვით მესხნი დიაღ დახელოვნებულნი არიანო მიწის მეურნეობაში და უფრო ვენახების შემუშავებაში.“ — (4) მესხეთში პირველათ დასდო ბინა ბაგრატოვანთ დინასტიამ მერვე

(1) დაბად. X. 2,3. (2) XXVII. 13. (3) Recherches......58, 62. (4) Voyage autour du Caucase. II.172.

საუკუნეში და აქედამ დაიპყრა მთელი საქართველო. შემდეგაც, როდესაც ისინი საქართველოს ტახტზედ დასხდნენ, მესხეთი იმათ საუფლისწულოებათ ჰქონდათ დაყოფილი. იმათგანვე არის აქ მომატებული ტაძარი აშენებული და იმათგანვეა შემოღებული უკეთესი არხიტეკტურა; ზოგი ეკკლესია მტკვრის დაყოლებაზეა, ზოგი—ჭოროხის მდინარეზედ. ჩვენს მაზრაში თითქმის ყველა აღწერილია დუბუასაგან და ბროსსესაგან: იმათი კედლები მრავლის წარწერაებით არის შემკული. მესხნი იყვნენ უკეთესნი მეომარნი: ყოველს ომში იმათ პირველი ადგილი ეჭირათ. მესხების სწავლაზედ და განათლებაზედ აი რას ვიტყვით: თითქმის მთელი სამღთო წერილი და მამათ თხზულებაები მესხების შრომაა; გიორგი მთაწმინდელი და ექვთიმე მესხები იყვნენ. ვეფხვის ტყაოსნის ავტორი, შოთა რუსთაველი, განთქმული ფილოსოფოსი პატრიცი და გამოჩენილი პოეტი სარგის თმოგველი იყვნენ აგრეთვე მესხნი. რა საკვირველია, თუ რომელსამე მხარეს შეუძლიან ამისთანა მწერლები დაბადოს, იქ თვით ხალხში ენაც კარგათ უნდა იყოს შემუშავებული და სწავლა გავრცელებული. „ამ დროს მთელი ეს მხარე აყვავებული იყოო, ამბობს დუბუა; ხელოვნება და მეურნეობა წინ იყოო. თვით კლდეები, სადაც შესაძლებელი იყოო მუშაობა, ადამიანმა დაიმონავაო; დიდროვანის ქვის ზღუდეებით იმან ეს კლდეები კიბე-კიბე გამართაო, როგორც ჟენევაში და ნეშატელშიაო და დანერგაო მრავალი ვენახი და ბაღი; თუმცა ადგილი მაღალიაო, აქ ყოველმა ფერმა იხარაო. ბარათ პური უხვათ მოდიოდაო (1).“ ქართლის—ცხოვრება გვიმოწმებს, რომ როდესაც საქართველოში შიმშილი იყო ხოლმე, ხალხი მესხეთიდამ იკვებებოდა.

აი კიდევ რა სამსახური მიაგო მესხეთმა საქართველოს. ერთობა მთელის ტომისა მესხების საქმეა. მეათე საუკუნემდე იმერეთი, რომელსაც მაშინ აფხაზეთი ერქვა, ქართლი, კახეთი და აგრეთვე მესხეთი დაგლეჯილი სამეფოები იყო. ამ დროს მესხეთის კუროპალატმა დავითმა ბაგრატ მესამე იშვილა და მთელის საქართველოს მეფეთ დასო. აქედამ იწყობა საქართველოს გაძლიერება და აღყვავება. ვიდრე ეს ერთობა არსებობდა, ჩვენი ქვეყანა ძალიან კარგს მდგომარეობაში იყო: კავკასიის მთები იმას ხელში ეჭირა; არაბნი და სხვა მტერნი შხირათ დამონავებული ჰყვანდა. სწავლა და ხელოვნება ვრცელდებოდა. მაგრამ მეთორმეტის საუკ. გასულს, თამარ დედოფლის დროს, ისევ დაემყარა საფუძველი ერთობის დარღვევისა. დაწესდა სამთავროები მემკვიდრეობით: გურია დაიჭირა ვარდანიძემ, სამეგრელო—დადიანმა, აფხაზეთი—შარვაშიძემ, სვანეთი—გელოვანმა, მესხეთი—ჯაყელმა. დიდათ მავნებელი იყო ეს შემთხვევა: საქართველო შესუსტდა და მასუკან სრულებით დაირღვა. რუსუდან დედოფლის შემდეგ მონგოლებმა ორი სამეფოც დააფუძნეს, და ბოლოს, როგორც ვიცით, ამ ორმა სამეფომ მესამეც შობა და რა უწესოება და უბედურება დაერთო ამას, თქმა აღარ უნდა... მთავრებში ყოველთვის უპირველესი ჯაყელი იყო ხოლმე. ეს სახელი მიეცა იმას ჯაყის ციხის გამო, რომელიც ახალციხის მახლობლათ მდებარეობდა და რომელიც ძველათ იმის გვარს ეკუთნოდა. ბაგრატ IV დროს ისტორიაში მოხსენებულია თუხარისის ერისთავათ ბეშქენ ჯაყელი; თამარის დროს—ბოწო სამცხის სპასალარათ, ბეგა—მანდატურთ—უხუცესათ, შალვა-ემირთ ემირათ... შემდეგ ამ გვარმა დაიმკვიდრა ათაბეგობა და თვით მესხეთს ეწოდა საათაბაგო. საათაბაგომ და სხვა სამთავროებმა სრულებით დაარღვიეს კავშირი სამეფოსთან მეცამეტის საუკ. გასულს. ამ დროდგან იწყობა შეუწყვეტელი ბრძოლა მთელის ტომისა, ბრძოლა შიგნით და გარეთ. ათაბეგები დაუახლოვდნენ, დაუმოყვრდნენ ტრაპიზონის იმპერიას, რომელიც დაფუძნებული იყო თამარ დედოფლის აზრით და მეცადინეობით. ერთი ათაბეგების ნაღვაწთაგანი არის საფარის მონასტერი, მშვენიერი ხელოვნებით და მხატრობით, რომელიც აშენებულია იმათგან მე XIV საუკ. და თვით მაშენებელნი შიგვე არიან დახატულნი. ვერც ერთი ეკკლესია, ამ დროს თუ შემდეგ აშენებული, ვერ შეედრება საფარას. საფარა იყო ათაბეგების სამარხი.

(1) Voyige... II.276, 277.

ოსმალების მოსვლა ევროპაში და იმათგან აღება კონსტანტინოპოლისა (29 მაისს, 1453), შემდეგ ტრაპიზონის დაჭერა 1462 წ. ცხადი ნიშანი იყო, რომ საქართველოსაც დღეს თუ ხვალ ბოლო უნდა მოჰღებოდა. საათაბაგო ოსმალების მოსაზღვრე იყო. მაშ სადამე იმისი არსებობა—წასული საქმე იყო. ოსმალები, რა საკვირველია, ტრაპიზონის დამონავების შემდეგ თითქმის მაშინვე შემოესივნენ ჩვენს მხარეს. ასტყდა შეუწყვეტელი ბრძოლა. საათაბაგომ დიდ-ხანს იბრძოლა. ბოლოს, 1625 წ. ამურათ IV-მ ახალციხე სრულებით აიღო, ბეგა მესამის მთავრობაში. ბეგა გამაჰმადიანდა და დაირქვა სახელათ საფარ-ფაშა. თვით ეს და აგრეთვე იმისი შთამომავლები ფაშებათ დახდნენ. უკანასკნელი ჯაყელების გვარის წარმომადგენელი იყო უსუფ-ფაშა III, რომელიც მოკვდა 1744 წ. ამ დროდამ ეს გვარი აღარსადა სჩანს: ამბობენ, ვითომც იმისი შთამომავლობა ოსმალოს საქართველოში ცხოვრებდეს. შემდეგში ერთს ქართველთაგანს კიდევ ვპოულობთ ახალციხის ფაშათ: ის იყო სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც გაფაშდა 1803 წ.

ოსმალებმა თავიანთი წესი დასდვეს. მესხეთი ფაშალიქათ გახადეს და სანჯაყებათ დაჰყვეს. 1829 წ. რუსეთმა დაიბრუნა მხოლოთ ხუთი სანჯაყი—ახალციხისა, აწყურისა, ასპინძისა, ხერთვისისა და ახალქალაქისა. ბატონ-ყმობა გაჰუქმდა, და ბევრნი თავად—აზნაურთაგანნი გავიდნენ საქართველოს. „აღარ იყოო ხსენება, ამბობს ვახუშტი ქართლის-ცხოვრებაში, არც თავადისა, არც მთავრისა, არც აზნაურისა; იმათ მაგიერ შემოვიდაო ფაშობა, ბეგობა, ალი-ბეგობა და აღობა. ხალხი ასწერესო, კაცის თავზედ ხარჯი თვითო დრაქანი (1) დააწესესო, მეშვიდედი ყოვლის მიწის მოსავალზედ და ხის ნაყოფზედ, ორ-ორი შაური ცხვარზედ, აბაზი ხარზედ, ექვსი შაური ცხენზედ და კამეჩზედ, ათი შაური ფაშის სასარგებლოთ.—საეპისკოპოსოები და მონასტრები დაეცაო; იმათი სიმდიდრე დაიტაცესო. ეკკლესიების მაგიერ მეჩეთები აღმართესო. მაჰმადიანობას ძალით ავრცელებდნენო.“ (2) ასლან II დროზედ (1705—1708) ვახუშტი სწერს: „ქრისტიანებათ დარჩნენო მხოლოთ მცირე გლეხნი ჯავახეთში, ნაკლებნი შავშეთში, აჭარაში და არტანში. გარდა ენისა, ქართველობა გაუქმდაო. (3)“

მაგრამ ეს იმედი დაკარგული არ არის. აი რა შენიშნა 1834 წ. დუბუამ: „La race indigène, la race autocthone, malgré les milliers d' années, est toujours géorgienne. (აქაური ტომი, ათასობის წლის წინაღმდეგ, ყოველთვის ისევ ქართველი ტომიაო). (4) ისინი ისევ ყველანი გაქრისტიანდებოდნენო, შიში რომ არ ჰქონდეთო, რომ ოდესმე ოსმალები ისევ დაიბრუნებენ ამ მხარეს და ხალხს ისევ მკაცრათ მოეკიდებიანო (5).“ მართლა და როგორც ჩვენ დავრწმუნდით ადგილობრივ, აქ მაჰმადიანობა მხოლოთ გარეგან უჭირავთ. გულში ისევ ჩვენი სარწმუნოება აქვთ დაცული. ამის დასამტკიცებლათ მრავალი საბუთია. სხვათა შორის აი რას ვიტყვით. მარხვა-ლღეებს ძველებურათ ინახავენ. დღეობაები ისევ იციან. საფარაში, ვარძიაში თავისს დროს ყოველთვის იკრიფებიან და მამა-პაპურათ ლოცულობენ. დიდ ძალი ხალხი დაიარება უფრო 14 სეკტემბერს ხახულის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, რომელიც ჭოროხის მდინარის მახლობლათ მდებარებს. ხახული ძველათვე განთქმული იყო. ხახულის ხატი ასვენია გელათში და დავით-აღმაშენებელისაგან და თამარისაგან მდიდრათ არის შემკული. ხახულის ეკკლესიაც აქამომდე მთლათ არის და დაცულია ქართველობისაგან. ენა ხომ, როგორც ზემოთა ვთქვით, აქამომდე უკეთესია ამ მხარეში. ამ სტატიის ავტორი ყოფილა იქ სხვა და სხვა ადგილებში, თვით აჭარის საზღვარზედ, და გაკვირვებაში მოსულა იქაურის ენის მეტყველებით. სადამდე არის ახლა ის გავრცელებული, დაჭეშმარიტებით ვერ ვიტყვით. 1828 წ. ფრანცუზს ფონტანიეს შეუნიშნავს, რომ ბაიბურთში ქართულს ლაპარაკობენო. (1) ბაიბურთი მესხეთის საზღვარია არზრუმის მხრივ. იქ, სადაც ჩვენ ვყოფილვართ, ოსმალურს ლაპარაკობენ მხოლოთ ვისაც აღებმიცემობა და მისვლა-მოსვლა აქვს ოსმალებთან: დედა-კაცები და ყმაწვილები სულ არა. ასეც გვიამბო აჭარელმა აჭარის საზღვარზედ.

(1) დრაქანი $1^{1}/_{2}$ მანეთია.
(2) Hist. de la Géorgie. II. 2 livr. 228, 229, 231. (3) ib. 232, 235. (4) Voyage...II, 275. (5) ib. 299.

ვგონებთ, რომ ეს ფაქტები საკმაო იყოს იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომელიც ზემოთ გამოვთქვით მესხების უპირატესობაზედ. ზოგიერთი სხვა და სხვა ჩვენი მხარე რომ ამ მდგომარეობაში ყოფილიყო, დაიცვავდა ის აქამომდე ან სარწმუნოებას, ან ენას? არა გვგონია. აი მაგალითად, ინგილოები. იმათი მხარე კახეთის ნაწილი იყო, თუმცა ალაზანს გაღმა მდებარებს. 16 სოფელი, სადაც ინგილონი ცხოვრებენ, თითქმის ერთი ერთმანეთზედ არიან გადაბმულნი. იმათს რიცხვში ზოგი ძალიან ვრცელია. დამოკიდებულება ინგილოებს ყოველთვის ჰქონიათ კახეთთან. მართალია, ძველი სარწმუნოება ისევ ახსოვთ, მაგრამ დიდი ხანიც არ არის, რაც ისინი მიიქცნენ. იმათ სახის-მეტყველებას რომ დააცქერდეთ, მძლივსღა იცნობთ, რომ ქართველები ყოფილან. ზნეობით დაბლა დგანან. ენა იმათი ისეა მიქცეული, რომ ძნელი მისახვედრია. ინგილოებზედ და იმათს ენაზედ „დროების“ რედაქცია ცალკე მოილაპარაკებს.

იმედი გვაქვს, მესხეთი მთლათ ისევ შეგვიერთდეს...................... ისტორიული მოძრაობა ჩვენს დროს ასეთია. თვით მესხნიც არა ჰკარგვენ იმედსა ამ საგანზედ. შარშან ბეგების კომმისიამ ახალციხეში გვაროვნობის საქმე გაარკვია: ბეგებმა სულ ქართული გვარები დაირქვეს...—

## მმართებლობის განკარგულება.

### უმაღლესი ბძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში.

16 სეკტემბერს, ცარსკი სელოს. სამსახურიდამ დაითხოვება დაჭრილობის გამო: მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის 14 გრენადერის ქართულის (грузинскій) პოლკის კაპიტანი საკოვი, მაიორის ჩინით და სრულის პენსიით.

### უმთავრესის შტაბის ცირკულიარი.

7 სეკტემბერს, № 202. უცხო ქვეყნის საქმის მინისტრის შუამავლობით, სამხედრო მინისტრმა უბრძანა, რომ ყველანი სამხედრო თანამდებობაში მოსამსახურე პირნი, რომელნიც გაიგზავნებიან საზღვარს გარეთ სამხედრო სამინისტროს სხვა-და-სხვა ნაწილისაგან, უნდა გამოცხადდნენ მიუცილებლად რუსის საელჩოში და უნდა დასტოვონ ხოლმე იქ თავის ადგილ-სადგომის ადრესი.

### ბრძანება კავკასიის არმიაში.

1866 წელს. 15 ოკტომბერს ქ. ტფილისს. კავკასიის არმიის ჯარებს გამოვუცხადებ, რომ სამხედრო მინისტრის ბრძანების ძალით, შესდგა 25 წარსულს ივლისს № 183, წარსულის ოკტომბრის ხუთმეტიდამ გაიხსნა ქ. ტფილისში კავკასიის სამხედრო ოკრუგისათვის საქვეითო იუნკრის შკოლა 200 კაცისთვის.

(1) Lebeau. Hist. du Bas-Empire. XX. 496.

ნამდვილზედ ხელმოწერილია: კავკასიის არმიის მხედართ-მთავრის მაგივრად, რომელიც [illegible] იმყოფება, თანაშემწე იმისი.

ღენერალ-ადიუტანტი კარცოვი.

### ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

1866 წელს 7 ოკტომბერს. ოდესას. მიეცემა: (მმართველის სენატის უქაზით, რომელიც შესდგა 1866 წელს 22 ივნისს. (№ 3822) დამსახურების გამო უფროსობის სტატსკი სოვეტნიკობა: კოლლეჟსკი სოვეტნიკს ვახტანგ გურამოვს, რომელიც არის წევრი წარმოგზავნილი ტფილისის აზნაურებისგან საგლეხო საქმის სასამართლოში და განსაკუთრებითის მინდობილების მოხელეს თავადს ირაკლი ბაგრატოვან-მუხრანბატონს, რომელიც არის VI კლასსისა და მსახურებს კავკასიის ნამესტნიკთან. ნადვორნი სოვეტნიკობა მიეცემა; კოლლეჟსკი ასსესორებს: სამსჯავრო საქმის დეპარტამენტის უფროსს სტოლონაჩალნიკს. ნაცვალოვს; ტფილისის გუბერნიის პროკურორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ივანე ეგიაზაროვს, უმცროს საქმის მწარმოებელს ლავრენტი არდაზიანს, რომელიც მსახურებს ტფილისის ღენერალ-გუბერნატრის კანცელარიაში. კოლლეჟსკი ასსესორობა მიეცემა ტიტულიარნი სოვეტნიკებს: თავადი ივანე თუმანიშვილს, რომელიც არის ხაზინის წარმომადგენელი კავკასიის აქეთა მხარის უმთავრესს გამიჯვნაში (при генеральномъ межеванiи), მეშვიდე მომიჯნავის კამმისიის მოსამართლე წევრს ანტონ ყარაევს. ტიტულიარნის სოვეტნიკობა მიეცემა კოლლეჟსკი სეკრეტრებს: საფინანსო დეპარტამენტის ბუხგალტერს მიხეილ ამბარდანოვს, სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის მიწის-მზომავს როტინოვს. კოლლეჟსკი სეკრეტრობა მიეცემა გუბერნსკი სეკრეტარს იოსებ წინამძღვრის შვილს, რომელიც არის მესამე მომიჯნავე კამმისიის მოსამართლე წევრი.

ხელი მოაწერა: კავკასიის ნამესტნიკი ღენერალ ფელდცეიხმეისტერი მიხეილ.

კავკასიის სახაზინო პალატისაგან. ზოგიერთი პირები, რომელნიც კავკასიის აქეთის უეზდის ხაზინიდამ იღებენ პენსიასა, სთხოვენ სახაზინო პალატას, რომ იმან საპენსიო ანგარიშის ფურცლები გაუგზავნოს, საერთო კასსის წესებისამებრ. მაგრამ რადგანაც ზემოხსენებულნი წესნი, რომელნიც უმაღლესის ბრძანებით 1665 წელს 22 მარტს შესდგნენ, არ არიან ხმარებულნი ჩვენს მხარეში, ამისთვის იმ პირებს, რომელნიც კავკასიის აქეთა მხარეში ცხოვრებენ პენსიები უნდა ეძლიოთ უეზდის ხაზინებიდამ; ანგარიშის ფურცლის მიუცემლად თუ ამას შემდეგაც პალატაში დაიწყეს თხოვნა ანგარიშის ფურცლებისა, იმათ თხოვნას ყურადღება არ მიექცევა.

### კავკასიის აქეთის ტრანზიტის ამბავი.

კავკასიის აქეთის დასაწყობელის დამოჭნისგან მოცემულის ცნობით კავკაზიის აქეთზედ გადუტანიათ 1866 წლის 1 იანვრიდამ 1 ოკტომბრამდე:

ევროპიდამ სპარსეთს: 143,380 ფუთი. სპარსეთიდამ ევროპას: 23,549 ფუთი.

---

### ვარანცოვის ძეგლი.

1857 წელს კავკასიის ნამესტნიკი თავადის ბარიათინსკის თხოვნით უმაღლესად ნება-მიეცა, რომ უწინდელის ნამესტნიკის თავადის მიხეილ სიმონის ძის ვარანცოვის პატივსაცემად აღიგოს ძეგლი ხიდზედ, რომელიც არის მდინარე მტკვარზედ აგებული. ეს ძეგლი უნდა აღემართათ იმ ფულით, რომელიც მაშინ შეკრიბა საზოგადო ხელის მოწერით ჩვენს მხარეში.

1860 წელს პეტერბურგს შეურიგდნენ რუსის ხელოსანს სკულპტურის პროფესორს პიმენოვს, რომ ჩამოესხა ბრონძის ქვეითი ძეგლი თავადის მიხეილ სიმონის ძის ვარანცოვისა. პიმენოვს ჰქონდა ბევრი სხვა საქმეები და შემდეგ გახდა თვითონ ავათ და ეწია სიკვდილი. ამისგამო ძეგლის ჩამოსხმა დაგვიანდა. პიმენოვმა დატოვა ძეგლის მოდელი (სახე) და ამ მოდელით შეუდგა იმის მუშაობას პიმენოვის თანაშემწე უფ. კრეიტანი წა-

…ულის წლის ზაფხულში ძეგლი ჩამოასხეს …კაგუნის ჩამოსასხმელს ქარხანაში. ეს ძეგლი ნახა ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა და ძლიერ მოეწონათ. ამის შემდეგ ძეგლი პეტერბურგიდამ გაგზავნეს ზღვით ლონდონზედ და მოვიდა ფოთს. აქედამ ხმელეთით ტფილისს მოიტანეს.

ამ ძეგლის მზრუნველობა მინდობილი ჰქონდა ზოლოტარევსა, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა განსვენებულის ფელდმარშალის ოჯახს? …ელქვეით. ის უნდა გარიგებოდა ძეგლის აკეთებას; თვითონვე ჰქონდა ზედამხედველობა მინდობილი მუშაობის დროს და შემდეგ მისივე განკარგულებით გამოიგზავნა ძეგლი პეტერბურგიდამ.

ბრონზის ძეგლი სიმაღლით ხუთი არშინია და იწონს ას სამოცს ფუთსა.

ამ ძეგლის დადგმა უნდა მოხდეს მომავალის წლის 25 მარტს, ესე იგი იმდღეს, როდესაც განსვენებული ფელდმარშალი 1845 წელს მოვიდა ტფილისს. ასე ინება მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა.

---

ტფილისიის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომლისაგან.

ვალათ ვრაცხ მოვაგონო უფალთ თავადთა და აზნაურთა ტფილისის გუბერნიისათა, რომელ, განსაშორებლად ყოვლისა მიუხდომელობისა მომავალს კენჭით აღრჩევაში, საჭიროა, რომ ყველას ჰქონდესთ მხედველობაში განსაკუთრებით შემდგომნი მუხლნი კანონთაგან: III тома о службѣ по выбор. 34. 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 87, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 104, 105, 117, 121, 122, 135, и 138, и XV. тома зак. уголов. и исправит. 1959, 1961, 1966 и 1967.—

---

## წიგნი რედაქტორთან.

უ. რედაქტორო. მე მგონია, გაზეთის მოვალეობა ის არის, რომ იმან არათუ პოლიტიკური და სამეცნიერო ცნობები გადასცეს ყოლმე ხალხს, რომლისთვისაც ის იბეჭდება; ის უნდა უჩვენებდეს თვით ამ ხალხის ცხოვრებას, ჩვეულებას, ზნეობას, ყოველსავე შემთხვევას, რასაც იმაზედ გავლენა რამ აქვს, რაც ჩვენს გარეშემო ხდება და რაც შეიძლებს ფიქრი აღძრას ადამიანის გონებაში. ამბობენ, უმიზეზოთ არა არისრაო არც გარეშე ბუნებაში და არც ადამიანის ცხოვრებაში. ეს ჩემის აზრითაც ჭეშმარიტია. ჩვენ უნდა ვტყობულობდეთ ყოვლის მიზეზსა. როდესაც ვიცით რომლისამე მავნებელის შემთხვევის მიზეზი, მაშინ ჩვენ უფრო ადვილათ შეგვიძლებთ იმის თავიდამ მოშორებას, ან არა და შესუსტებას მაინც. ქართველის ტომის ცხოვრებაში ბევრს ვპოულობთ მავნებელს შემთხვევაებს. აი ერთ-გვარი მაგალითი. ჩვენს ქვეყანაში ყოველ-წლივ, ხან აქ, ხან იქ, შეაყარი სენი დაიარება და მრავალი მსხვერპლი მიაქვს იმას. მიაღწევს ხოლმე ყველასთან ამ საგანზედ დაწვრილებითი ცნობა? არა მგონია. მხოლოდ იმათ იციან, სად რა სენია გავრცელებული, რომელნიც შემთხვევით იმ ადგილს მიდიან. ამ გვარი ცნობები უნდა მთელს საზოგადოებას ჰქონდეს. ხან და ხან მართალია, საშიშარია და ზარის დამცემი ეს ცნობები. მაგრამ უფრო კარგი. ვეცდებით მაინც მიზეზი შევიტყოთ და იმისი წინააღმდეგი ღონის-ძიება მოვიხმაროთ. ვცადენით, რომ ყოველთვის ბეჭდოთ თქვენ გაზეთში ამ გვარი ცნობები. „დროება,“ მადლობა ღმერთს, დასაწყისითვე კარგათ მიდის. პოლიტიკის ნაწილზედ და სამეცნიერო საგნებზედ ისეთი ყურადღებაა მიქცეული რედაქციისაგან, რომ ღმერთმა ინებოს, ყოველთვის ასე იყოს. ენაც, როგორც ვატყობ, იწმინდება და აჟვილდება. ისეც უნდა გითხრათ, რომ კითხულობენ ბევრნი, უნამეტნავესად ქალები. ადგილ-ადგილ მქონდა მე შემთხვევა საუბრისა ამ საგანზედ. ყველანი კმაყოფილნი და მადრიელნი არიან. პოლიტიკაზედ და სწავლაზედ ხშირათ ლაპარაკობენ „დროების“ მკითხველები. ხალხი თან და თან გრძნობს საჭიროებას კითხვისას. იმედია, რომ მცირეს დროს შემდეგ მრავალთათვის გაზეთი ისე საჭირო შეიქნება, როგორც საჭმელი. ეს კარგი ნიშანია, და აქედამ ვხედავ, რომ ძალიან სცდებოდნენ ისინი, რომელნიც ამტკიცებდნენ, ვითომც ჩვენი ხალხი ზარმაცია და კითხვას დიდხანს ვერ შეეჩვევაო. საქმის წარმატება ჟურნალის მიმართულებაზედ და პატიოსნებაზედ ყოფილა დამოკიდებული.

ახლა დაუბრუნდები ჩემს საგანს. წელს მე ერთის შემთხვევის გამო ვიყავ ფშავლეთში, რომელიც ეკუთვნის თიანეთის მაზრას. ამ მხარის მდებიარება მე ძალიან მომეწონა. ფშავლეთი მთლად მთიანი ადგილია და დაბნეულია ორს მშვენიერს ხეობაში—იორისაში და არაგვისაში. თიანეთის მაზრაში ცხოვრებს თითქმის სამი ტომი—ხევსურები, თუშები და ფშაველები. უკანასკნელთ უჭირავთ უკეთესი მხარე. იმათ უფრო მომატებული აქვთ სახნავი ადგილები და უმრავლესი ცხვარი ჰყავთ, ვინამც დანაშთენთ, წოვა-თუშების გარდა. რიცხვი ფშავლებისა ბევრი-ბევრი იყოს ცხრა ასი კომლი. ისინი არიან წმინდა ქართველები: სახის-მეტყველებით, ენის გამოთქმით ძალიან ცოტათი ერჩევიან კახელებში. მსვლელობაც ხშირი აქვთ კახეთში. ხასიათით უფრო წყნარნი არიან, ვინამც ხევსურები და თუშები. იმათი სახლ-კარი გაბნეულია მთებში, მთის-კალთებში, ტყეებში. თვითოეული ცხოვრებს თავისს სახნავ-სათესთან. შეგროვებული სოფლები ხშირი არ არის. მაგრამ ცხოვრება უწმინდური აქვთ: ტან-საცმელი გაქონილი და საზიზღარი, არა თუ ღარიბებს, შემძლე კაცებსაც. ტანს არ იბანენ; იმათ სახლებში თითქმის არ შეისვლება: ტალახისა და სიმყრალის მეტს ვერას ჰნახავთ. ამ გვარს უწმინდურებას, რა საკვირველია, ხშირათ უნდა შეუდგებოდეს სხვა და სხვა გადამდები და გასავრცელებელი სენი. ეს ასეც არის.

ჩემს დროს იქ მოდებული იყო ერთი სნეულება, რომელიც ხშირია იმერეთის მხარეში და რომელსაც სისხს უწოდებენ. ეს სენი იმერეთში, სამეგრელოში, სამურზაყანოში თითქმის ზაფხულ-ზამთარ არის, უფრო კი ზაფხულშია. მიზეზი იმისი, მე მგონია, არის ადგილის მდებიარება, სიცხე სინოტიით, და უფრო დაუდევნელი ცხოვრება და საჭმელი. შარშან სისხი ძალიან იყო სამურზაყანოში. სამის თვის განმავლობაში—ივლისში, აგვისტოში და სეკტემბერში, თითქმის არც ერთი სახლი არ გადარჩა, რომ ეს სნეულობა არ სწვევიყო. ავათმყოფნი გადიოდნენ ქონზედ, სისხლზედ და სისხლით იცლებოდნენ. ის იყო უფრო მინდვრათ, მთებში არა. ერთს სოფელში, ჯვარში, სადაც მეგრელები ცხოვრებენ და რომელიც ინგურის ხეობის შესავალში მდებარებს, სამ-ნაირი სნეულება იყო ერთსა და იმავე დროს: ყვავილი, სახადი და სისხი. არ შემიძლიან გითხრათ, რა ძალი ხალხი დაიხოცა. მარტო საბერიოში, როგორც მიამბეს, 50 თურმე შეიქნა სისხის მსხვერპლათ. იხოცებოდნენ უფრო ყმაწვილები და მოხუცნი.

თითქმის ამ გვარათ იყო სისხი წელს ფშაველეთშიაც. აქ ადგილის მდებარება, ხალხის ცხოვრება ბევრით მიემსგავსება იმერეთის მხარეს, თუმცა ადგილი უფრო მაღალია და ჰაერი უკეთესი. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ფშაველეთში სისხი იშვიათია და ახლაც ისე ძნელათ არ ყოფილა, როგორც შარშან სამურზაყანოში. აი რა მიწერია ჩემს შენიშვნაებში, რომელნიც ადგილობრივ ჩავწერე ჩემს ჟურნალში, იქაურების სიტყვებით: „სისხი გაჩნდა ივლისში. ის მოიტანეს შირაქიდამ ივნისის გასულ მეცხვარეებმა, რომელნიც ლაშარის-ჯვარს მოვიდნენ სალოცავათ. პირველათ გახდნენ ავათ ხოშორაში, შემდეგ აქედამ სნეულება მოეფინა იორზედ და არაგვზედ—წითელაურს, მათურას, ახადს, შუაფხოს, უკანაფშავს, უძილაურთას, გოგოლაურთას, წიბაურთას, ჩარგალს და სხ.—შარშანაც კი იყო ეს სენი ამ მხარეს, მაგრამ პანკისის ქისტებს იქით არ წასულა. შესუსტდა სეკტემბრის მეორე ნახევარს. მთლათ ავათ დახდა 600 სული; მოკვდა 120 მდე. მარტო მუქის სამრევლოში დაიხოცა 56. იხოცებოდნენ უფრო ყმაწვილები 7 წლიდამ 10 წლამდე და დედა-კაცები სხვა და სხვა ხნისა; წლოვანი მამაკაცები იშვიათათ. აქ არ იხიზნებოდნენ. პირველად რამდენიმე სახლობა გაიხიზნა, მაგრამ იმათაც თან გაჰყვა სისხი და ისევ დაბრუნდნენ. ვინც თავს უფთხილდებოდა, თბილათ იცვამდა, რჩებოდნენ. პირველათ ავათმყოფს მუცლისა და გულ-ღვიძლის წვა მოსდიოდა, მასუკან გულის რევა და პირიდამ საქმობა. ზოგი სისხლზედ გადიოდა და სისხლით იცლებოდა. ის რასაკვირველია აღარა რჩებოდა. სისხი ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. გაძლიერება უფრო ახალს მთვარეზედ შენიშნეს. თუმცა ლეკრი მოგვივიდაო, მაგრამ იმისმა წამლობამაც ვერა გვიშველარაო, ასე ამბობენ ფშავლები.

ხევსურეთი ფშავლეთის საზღვრათა მდებარებს. ის უფრო მაღალია და უტყეო. „სისხი აქ მხოლოთ ერთს სოფელში გაჩნდა—მოწმოვაში. მოკვდა 8 სული; იმათში 2 წლოვანი, დანაშთენი—პატარები. აქ სნეულებამ გასწია ორი კვირა. ხევსურები თავ და პირველათვე გაფთხილდნენ: მოწმოვაში არცარავინ მიდიოდა და არც არავის მოწმოველები უშვებდნენ თავიანთთან“. აი რა შემთხვევა მიამბეს ხევსურეთის ბლაღოჩინზედ, რომელიც ბარისახოში ცხოვრებს, მოწმოვას მახლობლათ. მოწმოვაში ვილაც მოკვდა. აქედამ გასძახეს ბარისახოელებს: „ბლაღოჩინი წამოგვილალეთაო, სამარხი გვაქვსო“. ბარისახოელებმა უპასუხეს: „არ გამოუტევთაო, თქვენ ღმერთი გლევთაო, ჩვენ თქვენგნით არ დავილევითაო.“ მასუკან მღვდელს უძახეს: „შენ თუ წახვალო, შენ ტალავარებიც თან წაიღეო, აქ ველარ შამოგიტევთაო“.

მცირე ხანში მოგართმევთ, უ. რედაქტორო, „დროებაში“ დასაბეჭდათ, კორრესპონდენციებს ფშავლებზედ, თუშებზედ და ხევსურებზედ, რომელსაც გამოვწერ ჩემის ჟურნალიდამ. (*)

დავშთები თქვენის გაზეთის კეთილის-მოსურნე

ზ.....ძე.

ოკტომბრის 10, 1866.

თიანეთი.

(*) რედაქცია მადლობას უძღვნის ამ წიგნისთვის უ. ზ. ...ძეს. იმედი გვაქვს ის აღთქმულს სიტყვას აგვისრულებს. ესეც უნდა ვთქვათ, რომ რედაქცია მოელის სხვა და სხვა კორრესპონდენციებს, რომელნიც შეეხებიან ჩვეულებას და ცხოვრებას ინგილოებისას, უდინებისას, მთიულებისას, ოსებისას და სხვა ტომებისას.

---

## პოლიტიკა.

**ანგლია.** ანგლიაში რეფორმის მოთხოვნილება თანდათან უფრო ძლიერდება. ანგლიის გაზეთების უკანასკნელს ნოემბერში იყო მოხსენებული ნორტლემპტონის და ნორტანგემის მიტინგებზედ. ამ მიტინგებზედ დაესწრნენ რვაათასს კაცამდინ. ედინბურგში პარლამენტის წევრმა უ. მაკ-ლარენმა უმრავლესს შეყრილობაში წარმოსთქვა რეფორმის (ცვლილების) სასარგებლოდ სიტყვა, რომელსაც ჩქარ-ჩქარა გააწყვეტინებდნენ ხოლმე ტაშის-კვრით. ახლა ჩქარა სიცივეებს დაიჭერს და ამის გამო აღარ შეიძლება უწინდებულათ დიდი ყრილობაები იყოს ხოლმე გაშლილის ცის ქვეშ. ნორტლემპტონის მიტინგის დროსაც კარგა მსხვილი წვიმა იყო.

უ. ფორსტერის სიტყვა საპარლამენტო ცვლილებაზედ. უ. ფორსტერმა, რომელიც როსსელის და გლადსტონის სამინისტროს დროს კალონიების მინისტრის ამხანაგი იყო, უთხრა თავის ამომრჩეველებს სიტყვა ბრადფორდში, რომელშიაც ის განსაკუთრებით საპარლამენტო რეფორმაზედ ლაპარაკობდა. ეს სიტყვა არ ჩამოუვარდება ბრაიტის სიტყვებს. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ბრაიტი უფრო გაბედვით ლაპარაკობს უ. ფორსტერზედ, მაგრამ ამასთან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ უ. ფორსტერი ძალიან ცხადათ და გასაგონათ ამტკიცებს, თუ რა ნაკლულევანება აქვს ახლანდელს ამორჩევის წესს და ან რა ცუდი და ბოროტი შედეგი აქვს ამას. უ. ფორსტერი მტკიცედ არის დაჯერებული, რომ ანგლიაში ჩქარა ყველანი იგრძნობენ, რომ ამორჩევის წესი სრულიად (რადიკალურად) უნდა შეიცვალოს. ქვემო პალატის წევრნი ყველა საზოგადოებმა უნდა ამოირჩიონ, რომელნიც კი მხარეში იმყოფებიან. მაგრამ ეხლა ამ უკანონო საქმეს უნდა ბოლო მოელოს, რადგანაც ამას ითხოვენ ისინი, ვისაც აქამდინ არა ჰქონდა ხმის მიცემის სიმართლე.

რადგანაც ანგლიის ხალხი დიდათ მომთმენია, ამისთვის ამ უკანონო საქმემ დიდ ხანს გასწია; მაგრამ ახლაკი ეს უკანონოება უნდა მოისპოს. ხალხი ჰგრძნობს, რომ იმისთვის ძალით და უკანონოთ წაურთმევიათ უფლება, რომელიც იმას სიმართლით ეკუთვნის; ხალხი ჰგრძნობს, რომ ის თავის სამშობლო ქვეყანაში უცხო-ქვეყნელად გახდეს, რომ ის ემორჩილება იმ კანონებს, რომლების შედგენაშიაც იმას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. უკანასკნელი შემთხვევანი გვიმტკიცებენ, რომ ხალხმა სცნო და გაიგო ესა; კონსერვანტორებიც კი დაგვეთანხმებიან, რომ ცვლილების მოხდენა საჭიროა, თუ გვინდა რომ განვაშოროთ ჩვენს თავს ყოველი განსაცდელი და ხალხის მძვინვარე ღელვარება. ჩვენ მოიმედენი ვართ, სთქვა უ. ფორსტერმა, რომ ტორიის სამინისტროც წარადგენს სარეფორმო ბილლს; თუ ეს არ მოხდა, მაშინ ტორიის სამინისტრო თავს ვერ დაიჭერს, დაეცემა და შეიმუსრება. რაც უნდა იყოს, მოვიდა ჟამი, როცა უდიდესი რეფორმის საქმე უნდა გათავდეს და ამისი შეჩერება აღარ შეიძლება.

**ლონდონი, 14 (26) ოკტომბერს.** თუმცა უკანასკნელი ამბავი, რომელიც კონსტანტინოპოლიდამ მოვიდა, აცხადებს რომ კანდიელები ჯერ კიდევ დიდხანს იბრძოლებენო თავისუფლებისთვის, მაგრამ მაინც საფიქრელია, რომ კანდიელების მეცადინეობას რამე კეთილი ნაყოფი ექნეს. ანგლიაში ელლინების მხარე ცოტას უჭირავს. ანგლიის საზოგადოების შემწეობა საბერძნეთმა უარ ჰყო ამ სამის წლის წინათ, როდესაც იმან თავის ნებით ამოირჩია სახელმწიფო მმართველი. ახლა ეს საზოგადოება უყურებს ბერძნებს და ელის, შეუძლიან თუ არა საბერძნეთს თავის თავად განაღვიძოს აღმოსავლეთის საქმე. საბერძნეთმა თვითონ უნდა იზრუნოს თავის საქმისთვის.

ეს არის უმთავრესი აზრი გაზეთის „ტაიმსისა“ (Times): თუნდ ავაზაკებითაც ავსებულა ეს მხარე: მაშინ იქ ცოტანი იმოგზაურებენ. საბერძნეთმა რომ უარი თქვას თავის ვალდებულებაზედ, მაშინ ყველა ბირჟებზედ დაეცემიან საბერძნეთის ფონდები. რაგინდ უბედურებაც შეემთხვეს ამ ცოდვა ნაკითხს მხარეს, კონფერენციებს და უცხო სახელმწიფოების პროტოკოლებს მაინც იმის გამო ბრალი არ დაედებათ. ახლა ის დრო აღარ არის, როცა უცხო სახელმწიფოები ცდილობდნენ გაებედნიერებინათ საბერძნეთი იმის დაუკითხავათ. ომი კრიტის კუნძულს არ გაცილებია ამ ჟამად. თვით ათინის ტელეგრაფიც აღარ გვაცნობებს თესსალის და ეპირის მღელვარებას, თუმცა აქამდის ის ბევრს იგონებდა ხოლმე

ამ საქმის შესახებ; სერბია ხმას არ იღებს; რუმინიასა და სულთანს შუა განხეთქილება ჩაჩუმდა. როდესაც კრიტის აღგომა გავიგეთ, გვეგონა თუ აი მალე მიეცემა აღმოსავლეთის საქმესაკ თავისი დასასრული. მაგრამ განდგომილებმა სრულებით ვერ შეგვძრეს, რადგანაც ვიცოდით, რომ ისინი გარეშე ხალხის განზრახვით მოქმედებდნენ. როგორც სჩანს, ევროპაში არავის არ უნდა იკისროს „ავათ მყოფის კაცის“ ექიმობა; ფრანციას და პრუსსიას უცხო-ქვეყნის საქმეების თვის მოცლა არა აქვს. ავსტრიას სახელმწიფო საძირკველი გადუბრუნდა და ჯერ ვერ მოუფიქრებია, რომელს მხარეში გაუმაგროს ძირი თავის იმპერიას; თუმცა რუსეთი აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც თავს დაჰყურებს, მაგრამ იმის ახლანდელი პოლიტიკა და ერთ დროს ისპანიის კაროლის ფილიპე II პოლიტიკა ერთმანეთს ეთანხმებიან: ის ამბობდა თავის მეფობაში: „მე ვარ და ჩემი დროო“. უეჭველად აღმოსავლეთის საქმესაც დრო მოუა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დამდგარა. საბერძნეთი ვერ აღძრავს ამ საქმეს და რომ კიდეც აღძრას, მაინც იმისთვის კეთილად არ ჩაივლის. თუ მარჯვე დრო დადგა, შეიძლება ოსმალები გაჰყარონ და კიდეც უნდა გააგდონ ბოსფორს გაღმა; მაგრამ ბერძნებს მაინც არ შეუძლიანთ ისევ აღადგინონ აქ ძველი იმპერია. თვით ოსმალეთის სახელმწიფოც ასე ადვილათ არ დაეცემა. ის თავის თავს სხვას ადვილათ არ მოაკვლევინებს. ამასთანავე ესეც უნდა ვთქვათ, რომ ბერძნის ხალხი ისე ძლიერი ხალხი არ არის, რომ ოსმალოს იმპერიის დარღვევის შემდეგ, ის გახდეს იმის მაგიერი; იმისთვის იმას არც ღონე მოსდევს და არც სიცხოველე. უკანასკნელი დღე ოსმალეთის იმპერიისა საბერძნეთისთვის მეტად სასაშიშრო იქმნება. რაკი რომ ოსმალეთის მთვარე მიიქცევა იქითკენ, საიდაცმოსულა, თვით ბალკანის ნახევარ კუნძულზედ ასეთი შეჯახება იქმნება სხვა და სხვა ხალხებისა, რომ უფრო შესაძლებელია საბერძნეთს რამე სამძიმო საქმე შეემთხვეს, მინამ მოიპოვოს დიდება და ძლიერება.

**ფრანცია.** როგორც სტატისტიკური ცნობებიდამ შევიტყეთ, გულს მოდგინე მეცადინეობა უ. დიურუსა, რომელიც არის ფრანციაში სახალხო განათლების მინისტრი, არ დარჩენილა უნაყოფოდ. თუმცა მართალია, რომ ფრანციაში ჯერ კიდევ ხალხში ძალიან ბევრმა არ იცის წერა-კითხვა, მაგრამ 1863 წლიდამ 1865 წლამდე იმდენათ გავრცელდა ხალხში წერა-კითხვა, რომ ას კაცში წიგნის მცოდნელი სამი მოემატა. ეს ანბავი მით უფრო სანუგეშოა, რომ 1848 წლიდამ 1863 წლამდე, ესე იგი 15 წლის განმავლობაში ას კაცზედ რვას მეტი არ მომატებია წერა-კითხვის მცოდნელი, ისე რომ ერთის წლის განმავლობაში ას კაცზედ ერთი კაციც არ მოდის, რომ წერა კითხვა დაესწავლოს. როგორც წინათ, ახლაც ისე აღმოსავლეთის პროვინციებში, რომელნიც გერმანიაზედ ახლო არიან, უფრო ვრცელდება წერა-კითხვის დასწავლა. ვოგეზაში ორი კაციც არ მოიპოვება, რომ წერა-კითხვა არ ესწავლოს შკოლაში. ამ თერთმეტს ნემეცურს დეპარტამენტებს შემდეგ უნდა ვახსენოთ პარიჟი. ზოგიერთს დეპარტამენტებში განათლება კიდეც შემცირდა. ამ შემთხვევაში ზედა-ვიენის დეპარტამენტს უჭირავს უკანასკნელი ადგილი. იქ მთელი ნახევარი რიცხვი მცხოვრებლებისა სულ გაუნათლებელნი არიან. არიეჟის დეპარტამენტი უწინ განათლებით უკანასკნელი იყო, ახლა კი ბევრით ხელი-წამოიყარა ამ შემთხვევაში. ის არის სიაში მე ოთხმოცდა მეხუთედ მოხსენებული: იქ ახლა ნახევარზედ ბევრით მეტია, რომელთაც წიგნი უსწავლიათ. ამ გვარს ნაყოფს განათლებისას აბრალებენ იმ შკოლებს, რომელნიც ხანში მოსულ-კაცებისთვის გახსნეს.

—ლილიდამ იწერებიან, რომ 13 (25) ოკტომბერს ღამით იქაური ჯარი იარაღით გამოაწყვეს, რადგანაც ფიქრობდნენ იარაღის მოხმარებას არეულობის მოსასპობლათ, რომელიც მუშებმა დენენში მოახდინეს. აქ მრავალმა, მუშამ დაუწყო თავიანთ პატრონებს მუქარება, რომ დღიური ფასი მოემატებინებინათ. მაგრამ ლილის გარნიზონის მაგივრად ერთი ბატალიონი და ორი ესკადრონი ვალანსიენის გარნიზონისა გამოვიდა იმ მუშებზედ. სხვა ამ ამბის მეტი ჯერ არავიცითრა ამაზედ.

—„ლა-ფრანსი“ (La France) გვაცნობებს, რომ ეგვიპტის ვიცე კაროლმა ისმაილ-ფაშამ განუცხადა უცხო სახელმწიფოების ელჩებს კაირში, რომ მე მინდაო დიდად გავამჯობინო ეგვიპტის სახელმწიფო მმართველობა; გადავაკეთოო ესე იგი იმ სახით, როგორც ევროპის სხვა კონსტიტუციური სახელმწიფოები განიგებიანო.

**იტალია.** ვენეციის გადაცემაზედ. 1866 წ. 19 ოკტომბერს, 8 საათზედ დილით, შეიყარნენ—ერთის მხრით დივიზიის გენერალი ლებეფი, ფრანცუზების იმპერატორის ადიუტანტი და იმისვე კამმისარი ვენეციაში; მეორეს მხრით გრაფი ლუიჯი მიკიელი, კავალერი ედუარდი ბეტტა და დოქტორი ახილლ პელდერი, რომლებიც თვით კამმისიას შეარდგენდნენ.

ამასთან გენერალმა ლებეფმა სთქვა შემდეგი სიტყვა: „უფალნო! მე ვარ დანიშნული იმპერატორის ნაპოლეონისაგან III, რომ მივიღო ავსტრიელებისაგან ციხეები, და თქვენის პროვინციების ტერიტორიები და გადმოგცეთ თქვენ ის უფლება, რომელიც დაუთმეს ჩემს ხელმწიფეს. თქვენ იცით, რა განძრახვით მიიღო იმპერატორმა ვენეციის დათმობა. იმპერატორმა გამოაცხადა ამ საგანზედ თავისი აზრი წიგნში, რომელიც მისწერა იტალიის კაროლს, 11 აგვისტოს და მე იმაზედ უმჯობესს ვერას ვიტყვი, რაც იმაში სწერია, და ამისთვის ვალათა ვრაცხ წაგიკითხო ის წიგნი:

„მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემო ძმაო.

სიხარულით შევიტყე, რომ თქვენმა დიდებულებამ გამოაცხადეთ თანხმობა შერიგებაზედ და პირველ—პირობაებზედ, რომლებზედაც დათანახმდნენ პრუსსიის კაროლი და ავსტრიის იმპერატორი. ამიტომაც იმედია, რომ ევროპაში დამყარდება მშვიდობიანობა. თქვენმა დიდებულებამ იცით, რომ მე ვენეცია იმიტომ მივიღე, რომ ეს ქალაქი დამეცვა აკლებისაგან და გაოხრებისაგან და შემეწყვიტა ტყუილი სისხლის ღვრა. ჩემი განძრახვა ის იყო, რომ ვენეცია თავის თავისთვისვე დამებრუნებინა, რომ იტალია გამხდარიყო თავისუფლათ ალპებიდგან ადრიატიკის ზღვამდინ. რაკი ვენეცია დაიწყებს თავის თავზედ ზრუნვასა, მაშინ შეიძლებს, ხმის მოკრებით, გამოუცხადოს თავისი სურვილი. თქვენი დიდებულება დაგვეთანახმება, რომ ამ შემთხვევაში ფრანცია ხელ-ახლა მოქმედობს კაცობრიობის შესამატებლათ და ხალხების თავისუფლებისთვის.“

მოწერილია III ნაპოლეონი.

„უფალნო: იმპერატორმა დიდი ხანია იცის თქვენის მხრის გულის წადილი. მათ დიდებულებამ იცის, რომ თქვენს მხარეს ჰსურს შეერთება ვიკტორ-ემმანუელის სახელმწიფოსთან, და რომლის შემწეობითაც ომობდა იტალიის განთავისუფლებისათვის. მაგრამ რადგანაც დიდი პატივი აქვს სახალხო (სანაციონალო) უფლებისა, ამტომაც იმპერატორმა ისურვა ვენეციელებისთვის მიეცა ის უფლება, რომ თავიანთი სურვილი გამოეცხადათ. იმპერატორი ამითი კიდევ უმტკიცებს თავის პატივის ცემას იმ პრინცებს, რომლის დაცვასაც ვალათ რაცხს. მათი დიდებულება ბედნიერია იმითი, რომ მოიხმარა შემწეობა, რომ იტალიამ გამოიჩინა თავისი პატრიოტობა და ვაჟკაცობა.“

გრაფმა მიკიელიმ, კამმისიის ყველა წევრების მაგიერ, უპასუხა იტალიანურს ენაზედ შემდეგი:

„1859 წელს, როდესაც ჩვენ და ჩვენმა მოკავშირეებმა ლომბარდიაში გავიმარჯვეთ და დავამარცხეთ ჩვენნი შემავიწროებლები და დამჩაგვრელები და როდესაც გვესმოდა „ალპებიდგან ადრიატიკის ზღვამდინაო,“ მაშინ გვეგონა, რომ ჩვენი განთავისუფლება დამყარდაო; თუმცა გულ-გრილმა დიპლომატიამ დაგვარწმუნა, რომ სცდებით ამაში, მაგრამ ამ გულ-გრილს დიპლომატიას არ შეეძლო დაეყენებინა არც გულის ცემა ჩვენის ხალხისა, რომელსაც მოემატა მეცადინეობა თავისი აღდგინებისთვის და არც შეეძლო იმასვე (დიპლომაციას), რომ არ მიემხრო იტალიისკენ იმის შემძლებელი მოკავშირენი.

„ჩვენ და ჩვენთანვე ყველა ვენეციელები ვადიდებთ ყოველ შემძლებელს ღმერთს და მადლობას ვეტყვით ჩვენს საყვარელის კაროლის სულგძელს მოკავშირეს, რომელმაც სისხლის ღვრის დროს ომიანობის გამო, თავის დიდის შემძლებლობის შუამავლობით, დააბოლოვა ჩვენი თავისუფლება და იტალიის საკაროლოსთან შეერთება.“

**სიცილიის მდგომარეობა.** ფლორენციიდამ, 23 ოკტომბრიდგან, ნემეცურს გაზეთებში სწერენ: „ის კანონები, რომლებიც გამოიცნენ სასულიერო წოდების გაუქმებაზედ, ძალიან სასტიკათ მოჰყავთ აღსრულებაში სიცილიაში. მმართებლობამ გამოსცა განკარგულება, რომ ის ფული, რომელიც მონასტრების შემოსავალიდგან იყო დანიშნული სხვა და სხვა ხალხის საჭიროებაებისთვის, ამას იქითაც იმოდენი უნდა გამოერთოსთ მონასტრებს.

მონასტერების სახლები გადაკეთდება სახალხო საჭიროებისთვის და იქავე გაიხსნება სახალხო სასწავლებლები.

მთავრობის ამისთანა განკარგულებაზედ ხალხი არამც თუ არას ამბობს, თითქმის თითონაცვე მოსწონს და მთავრობას ხელს უმართავს. სიცილია ჯერ კიდევ არ არის დამშვიდებული. გენერალმა პადორნამ მოითხოვა, რომ ჯარი გამოუგზავნონ.

**იტალია,** ავსტრიის ჯარების გამოსვლა ვენეციიდამ. სახალხო პლებისციტი. გაზეთში Rinnovamento, 19 ოკტომბერს, ავსტრიის ჯარის გასვლაზედ ვენეციიდამ სწერენ: შვიდს საათზედ დილით ქალაქი ჩაჰბარდა გრაფს ლუიჯი მიკიელის, ახალის საქალაქო რჩევის უფროსს ასსესორს.

უწინდელი საქალაქო რჩევის წევრნი სამსახურიდამ დაეთხოვნენ ამის შემდეგ უ. ლუიჯი მიკიელიმ, კავალერმა დე-ბეტტამ, რომელიც არის ვერონიდამ, უ. ემი პალდერმა, (ეს არის მანტუიდამ) გამოუცხადეს ქალაქს, რომ იმას ნება აქვს თავისი მომავალი სვე გადასწყვიტოს.

ქალაქი მოირთო ბაირაღებით. ავსტრიის ღენარლები ალლემანი და მერინგი ჩასხდნენ ცეცხლის-გემში, რომელიც იდგა კაროლის სასახლესთან. ისინი განემგზავრნენ ცხრა საათზედ.

იმ დროს, როცა ცეცხლის-გემმა გაუარა Piazzetta-ს ღენერალმა ალლემანმა რამდენჯერმე თავი დაუკრა ხალხს, რომელიც ზღვის ნაპირას იყო შეგროვებული. ხალხი ტაშის კვრით ამგზავრებდა იმათ და იძახოდა: „ღმერთმა აღლეგრძელოს ვიკტორ-ემმანუელი და იტალია!“ თერთმეტის ნახევარს იტალიის ესკადრა მოვიდა მალამოკკთან. ამ ესკადრის გემები მორთულნი იყვნენ ბაირაღებით და მიეგებებოდნენ ქალაქს ზარბაზნების სროლით. როსწამ ხალხმა დაინახა ეს ესკადრა, მაშინვე მიეგება იმას დიდის აღტაცებით, და ტაშისკვრით. მეხომალდენიც აგრეთვე დიდის სიხარულით დაუხვდნენ იმათ სახლების კედლებზედ იყო მიკრული ათასი აფიშა, რომელშიაც გამოჰხატავდნენ თავის გულის წადილს და სიხარულს. ერთს აფიშაზედ, რომელიც იყო მიკრული ჯვარედინს გზაზედ, მსხვილის ასოებით ეწერა: „ამიერიდგან შტიკმა, დატყვევებამ, გადასახლებამ, სიკვდილით დასჯამ და სხვა ათასმა უმძიმესმა ტანჯვამ უნდა გვასწავლონ ჩვენ ის, რომ გვძაგდეს უცხო-ქვეყნელის უღელი.“ დღეს დილით, გრაფინა მონტალბონ-პომელლომ მისცა სანაციონალო გვარდიის კომანდირს თავის ხელით გაკეთებული ბაირაღი. დღეს დილით, როცა წმ. მარკოზის მოედანზედ აღმართეს რამდენიმე სამფეროვანი ბაირაღი, კარდინალმა-პატრიარხმა უბრძანა, რომ იმის ბალკონზედ ერთი დიდი სამფეროვანი დროშა აღმართონ.

მაგრამ ხალხმა ყვირილით და შტვენით იმდენი უყო, რომ ჩამოაღებინა ბალკონიდამ ბაირაღი; კარდინალი ხალხის ყვირილით ისე რიგათ შეშინდა, რომ დაახურვინა ფანჯრის სტაენები. ამბობენ, ვითომც იმან დასტოვა ვენეცია, რომ არ ნახოს თავისის მტრების შესვლა ამ ქალაქში. ჯარები შევიდნენ ვენეციაში ნაშუადღის ორს საათზედ. ოთხს საათზედ ეს ცერემონია გათავდა. ჯარს დაუხვდებოდა ხოლმე ხალხი; ყველგან ყვიროდნენ: ღმერთმა აღლეგრძელოს იტალია, ჯარი და კაროლი.“

წყალში აქეთ იქით იყვნენ დაფანტულნი პატარა გემები (გონდოლები), რომლებიც წარმოადგენდნენ მშვენიერს სურათს, მუზიკის ხმა განისმოდა ჰაერში.

წმ. მარკოზის მოედანზედ ათამაშეს ჯარი. ეს თამაშობა მშვენიერი იყო. სახლების ფანჯრები იყვნენ მორთულნი ბაირაღებით, ხალიჩებით; ხალხის აღტაცება ენით გამოუთქმელი იყო.

პადუიდამ ტელეგრაფით აცნობებენ, 21 ოკტომბერს: დალოს მაზრაში ხალხი დიდათ აღტაცებულია. ხმის მიცემა ძალიან კარგათ წარიმართა, ისე, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა: ავათმყოფნიც კი მიეშურებოდნენ, რომ მიეცათ ხმა. ხმის მიცემაში მიიღო გულ-მხურვალე მონაწილეობა სასულიერო წოდებამ ქალები მიართმევენ ადრესს კაროლს. ამ მაზრაში მცხოვრებლების რიცხვი 28 ათასი სამას ორმოცდა ექვსი კაცია; ამათ რიცხვში ხმის მიცემის ნება აქვთ მარტო 7 ათას, 718 კაცს, ხმა მისცეს de facto-7,172 კაცმა. პადუაში ხმის მიცემა ძალიან მშვენივრად მოხდა. ათასზედ მეტმა მისცეს ხმა; სოფლებიდამაც ძალიან სასიხარულო ამბები მოდის. სოფლის მღვდლები აძლევდნენ ხმას, სოფლის კაცებთან ერთად. ჩიტადელის მაზრაში მისცეს ხმა 7,012 კაცმა 8,000 კაციდგან, რომლებიც სიაში იყვნენ ჩაწერილნი. ქალაქის მანტუის სასულიერო წოდებამ მიართვა კაროლს ადრესი, რომელშიაც ის უცხადებს კაროლს თავის სიყვარულს, ერთგულობას და თანა-გრძნობას. მანტუის ეპისკოპოზმა თავის წარგზავნაში გამოაცხადა, რომ იმასა სწადს იტალიისთვის და კაროლისთვის ყოველი სიკეთე და კეთილი; ერთის სიტყვით სასულიერო წოდება თანაუგრძნობს ამ ახალს საქმეს. იმას ერთ დროს დიდათ უყვარდა ავსტრია, მაგრამ ახლა კი სრულებით წინააღმდეგად იქცევა.

---

# ტელეგრამმები,

პეტერბურგში მიღებული.

**ნიუ-იორკი**, 8 (20) ოკტომბერს. სამხედრო მინისტრმა სტანტონმა სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი მისცა. იმის მოადგილეთ დაინიშნა ღენერალი შერმანი.

როგორც ისმის, საფინანსო მინისტრის ერთის წლის ანგარიშიდგან ცხადდება, რომ ამერიკის ხაზინაში დარჩება მომეტებული 38 მილლიონი დოლლარი.

**კონსტანტინოპოლი**, 19 (31) ოკტომბერს. კანდიის ინსურგენტებმა, ძლიერის ბრძოლის შემდეგ ვრისსის მახლობლად, აიხსნეს იარაღი და დამორჩილდნენ ოსმალოს ჯარს კაპიტულაციით. ამათ რიცხვში იმყოფებიან სამი ბერძნების შტაბ-აფიცერი და ას ოცდა ათი ბერძნების ობერ-აფიცერი. ეს ინსურგენტები წაიყვანეს ოსმალეთის ციხეებში.

**კონსტანტინოპოლი**, 20 ოკტომბერს (1 ნოემბერს) კანდიის კუნძულზედ უკანასკნელს ბრძოლაში განდგომილების რიცხვი იყო 10 ათასი კაცი. ინსურგენტებს მოუკვდათ 700 კაცი. ოსმალოს ჯარსაც დიდი ზარალი მიეცა.

კანდიის ყოველის მხრიდამ მოდიან დეპუტაციები ოსმალოს ჯარის წინამძღვართან და უცხადებენ თავიანთს მორჩილებას.

სამი ათასი კანდიის განდგომილნი, რომელნიც შეეფარნენ მელიდონის მღვიმეში, დაიხრჩნენ წყლის ადიდების დროს.

თესალლიაში ოსმალოს ჯარი გაეკიდევნა რამდენსამე ავაზაკების თაბუნს.

იოსებ-კარამი, მარონიტების წინამძღვარი საფრანგეთში განემგზავრა.

**ფლორენცია**, 19 (31) ოკტომბერს. იტალიის მინისტრების რჩევის თავს-მჯდომარემ, ბარონმა რიკოზოლიმ წარუგზავნა პრეფექტებს ცირკულიარი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ამიერიდგან მოისპო უცხო-ქვეყნელების უფლება იტალიაში; გარდა ამისა ის ნებას აძლევს მოსვლისას იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც აქამომდე თავის ეპარქიაში არ იმყოფებოდნენ, იმათ გარდა, რომელნიც რომში იყვნენ და პოლიტიკურს საქმეებში ერეოდნენ.

**რომი**, 18 (30) ოკტომბერს. პაპამ დაურიგა კარდინალებს თავისი ორი სიტყვა, თქმული უკანასკნელს კონსისტორიაში. ერთს სიტყვაში ის უცხადებს იტალიას თავის შეურიგებლობას. პაპამ გამოაცხადა, რომ ის თავის სიცოცხლეს შესწირავს რომის ტახტის დასაცველად და თუ საჭიროება მოითხოვს, ის სხვა სახელმწიფოში გადასახლდება, რომ დაუყოვნებლივ აღასრულოს მოვალეობა მოციქულისა.

მეორე სიტყვაში ის ჰკიცხავს რუსეთს, რომელიც სდევნის კათოლიკებს პოლშაში.

**რომი**, 19 (31) ოკტომბერს. ერთს თავის სიტყვაში პაპა გამოაცხადებს თავის გულმწუხარეობას იმის გამო, რომ იტალიაში რომის ეკკლესია განიდევნება, მაგრამ ამასთან ის გარდმოავლინებს იტალიას თავის ლოცვა-კურთხევას და გამოაცხადებს სურვილს, რომ პოლშაში კათოლიკების დევნა მოისპოს.

**ათინა**, 17 (29) ოკტომბერს. ბერძნების ბანკირებმა კონსტატინოპოლში ოსმალოს მთავრობას ერთი მილიონი სტერლინგი ასესხეს.

ლამიდამ გვაცნობეს, რომ საქრისტიანო თემი სმორროსი, თესსალიაში, განუდგა ოსმალოელებს.

ოსმალოს ელჩს ლამიაში შეურაცხება მიაყენეს. ამის გამო ოსმალოს საელჩომ ათინაში მოსთხოვა საბერძნეთის მთავრობას, რომ ლამიის პრეფექტი გამოცვალონ. საბერძნეთის მთავრობამ აასრულა ეს თხოვნა.

საბერძნეთის კაროლი არ ეთანხმება სამინისტროს, რომელიც ითხოვს პალატების დათხოვნას.

ათინაში მიელიან გრაფს როსსელს, უუგლადსტონს და მილნერს-გიბსონსა.

**ვენა**, 22 ოკტომბერს (3 ნოემბერს). დღეს ვენის გაზეთში სწერენ, რომ ამ ცოტას ხანში უნდა დაინიშნოს ავსტრიის უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრად ბარონი ბეისტი. ბეისტის დანიშვნა არა ევროპის სახელმწიფოსთვის შემაშფოთებელი არ უნდა იყოს. ავსტრია ახლანდელს დროში პატივის-მოყვარეების პოლიტიკას ვერ მიჰყვება; იმის განზრახვა ის არის, რომ მშვიდობიანობა დაიჭიროს თავის მეზობლებთან. ავსტრიას ახლა ფიქრშიაც არა აქვს ვისიმე დამორჩილება ევროპაში. იმას უნდა, რომ თავის შინა-საქმეს თვალყური მიაქციოს და შიგნით სახელმწიფოში გამაგრდეს.

**ვენა**, 22 ოკტომბერს (3 ნოემბერს). ბუშინ უცხო-ქვეყნის საქმის მოხელენი წარუდგნენ ახალს მინისტრს ბეისტსა, რომელმაც უთხრა იმათ გრძელი სიტყვა. ამ სიტყვაში იმან გამოაცხადა მშვიდობიანურის პოლიტიკის დაჭერა განსაკუთრებით პრუსსიასთან.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი**, 31 ოკტომბერს. გამოსცეს უზენაესი უკაზი, რომელიც ქალაქებს და ქალაქის მცხოვრებლებს ათავისუფლებს ბატონ-ყმობის დამოკიდებულებიდამ პოლშის სამეფოში. ამ სამეფოს ოთხას ორმოცდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

# ...ური გაზეთი.

...წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნე-

...მა დარჩება ისევ ის, რომელიც იყო გამოცხადებული წლეულს.

...ღვიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულეთ, რაც დავპირდით ...ითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლი... ...მელთაც დაგვიშალეს ჩვენის პროგრამმის სრულათ ასრულება...... ...ომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინეობა არ მოგვიკლია; მაგრამ ამისი ...ლებისთვის მიგვინდია. ესეც უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამის შემ... ...რათ იქნება იმისთანა სტატიები, რომელნიც ჩვენს ქვეყანას შეეხე... ...იწადში დაიბეჭდება ვრცელი სტატია: **კავკასია**, ანუ ისტორიული, ...ოგრაფიული (*) ცნობები ამ მხარეზედ. ის ეკუთვნის „დროების“ ...აქრაძეს.

...ლათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თა-

...ის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავ... ...ეშე ადგილებში 7 მანეთი.

...მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც ...ის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

... მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილე... ...ე ამ ადრესით:

...контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Ме-

(*) ...ნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის ჩვეულების აღწერას.

...ნოემბერს.

...მი ჩვენ შემოვიტანეთ ...ნეთიდამ. კორრესპონ... ...სნეულება, რომელიც ...რეთის მხარეს და რო... ...ზაფხულს მოფენილი ...ელეთში. იმან პირვე... ...სენი შარშან ძალი... ...ი. ეჭვი არა გვაქვს, რომ ...აფიქრებს „დროების“ ...ვილი ეს არის, რომ ამ ...ი იყოს ხოლმე გაზეთ... ...წელს ადგილ-ადგილ ...ალა მოსავალი, ვაზის ...ლება გაძლიერებულა.

არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგათ მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ რატომ არავინ რას იწერება ამაზე? მივაქცევთ ამ საგანს მკითხველების ყურადღებასა. ამათში ბევრს დროცა აქვს და ღონისძიებაც, რომ სხვა და სხვა მხარიდამ სხვა და სხვა მოვლინებაზე ბუნებაში, თუ ცხოვრებაში, ცნობები მოგვცენ ხოლმე. ერთი ეს, რომ ამ გვარი ცნობები, როგორც წინათაც გვითქვამს, გაზეთს გააცხოველებს, მეორე ეს, რომ რედაქციას მიეცემა შემთხვევა, სწავლისაგან მოპოებულის საფუძვლით გაჩხრიკოს, გაარკვიოს ეს საგანი იქნება, თუ ისა.

მაგალითად, აი იმ საგნისაგამო, რომელიც წასულს ნუმერშია.... კორრესპონდენტი საფუძვლიანათ ამბობს, რომ უმიზეზოთ არა არის რაო. ჩვენში და საზოგადოთ ყველგან გაუნათლებელი ადამიანი თითქმის ყოველს სნეულებას მიაწერს შემთხვევას და ღვთის

## ფ უ ლ ი.

I.

სულ ფული და სულ ფული!..
საითაც მივიხედე,
ვისაც კი რამე ვკითხე...
ყველგან ფული! სულ ფული!.
ბევრი ახტი და ჩახტი,
და ჯიბე ცარიელი
ვერაფერი ვერ გახდი....
სულ ფული და სულ ფული!

II.

ფულო! რას არ ჩადიხარ!
სასწაულთ მომქმედი ხარ!
რაღა მეთქმის, საწყალსა,
ვხედავ რა შენს ძალასა,
რომ ასე ატრიალებ
კაცსა ვით ბზრიალასა.
დაგიდგეს, ფულო, თვალი,
რომ შენსა სიყვარულსა,
კაცი გინდა თუ ქალი
სწირავს თავისა სულსა.
რა ქნან? რას არ ჩადიხარ?
თვალთ მაცდური რამა ხარ!
უშნოს შენ ალამაზებ,
ელამს თვალებს უსწორებ,
გაუზდელს ხდი გაზდილად,
და ბებერს ახალგაზდად.
მაგ შენსა შუქის ძალას
ბევრი რამ შეუძლიან:
შენთვის ტალახში წოლას
ბევრი შეჩვეულია.
ვისაც ადგია შენი
ელვარების გვირგვინი,
აბა, კაციც ის არის,
ძვირფასი, სანატრელი.
ვინ კითხულობს: ვინ არის?
ქურდია, თუ მცარცველი?..

III.

ფულო, ფულო, ფულებო!...
თუ კი ბლომად გაქვთ ესა,
არ მებრალვით ქალებო,
მალე იშოვნით ქმრებსა.
თუ ჯიბეში ფული გაქვთ,
რა საყვარლები რამ ხართ!
თუ გინდ იყოთ ელამიც,
მიგრეხილ-მოგრეხილიც;
ამით ნუ შესწუხდებით;
და ფერით, უმარილით,
ან სხვა წასასმელებით
ტყუილად ნუ ითხუპნებით.
სარკეში რას უყურებთ!..
თქვენი სარკე ჯიბეა,
ჯიბეში ჩაიხედეთ,
და თუ ჯიბე სავსეა,
ნურაფრის გენაღვლებათ.
თუ კი არის ფულები,
საყუათო მზითვები,
მალე გამოუჩნდება
მაგ თქვენს ელამს თვალებსა,
და მიგრეხილ სახესა
მხურვალე მიჯნურები,
გახრეკილი მუშტრები
სხვისა და სხვის გვარისა,
ხარისხის და რჯულისა.

IV.

ფულო, ფულო, ფულებო!..
თუ თქვენც ბლომად გაქვთ ესა,
მაშ რა გიჭირთ კაცებო;
თქვენც გიკმაზვენ ქალებსა.
იმისთვის თქვენ ნუ სწუხართ,
ახალგაზდა რომ არ ხართ,
და თმაში გაქვთ ჭაღარა,
ზოგან კბილი აღარა...
რომ ხართ თქვენ გაუზდელნი,
უშნო და ჭკუა თხელნი...
თუ ბლომად გაქვთ ფულები,
ბევრს დარჩება თვალები
მაგ თქვენ მოტვლეპილ თავზე
და გატენილ ჯიბეზე.
თუ ჯიბეში ფულია
კოხტა ქალიც თქვენია!
ვინ ხედავს თქვენს წამხდარ გულს
თქვენს სვინიდისს დაკარგულს,
ან თქვენ გარყვნილობასა,
ლაფსა და.........
ჯიბეში თუ ფულია

ამ საქმის შესახებ; სერბია ხმას არ იღებს; რუმინიასა და სულთანს შუა განხეთქილება ჩაჩუმდა. როდესაც კრიტის ადგომა გავიგეთ, გვეგონა თუ აი მალე მიეცემა აღმოსავლეთის საქმესაც თავისი დასასრული. მაგრამ განდგომილებმა სრულებით ვერ შეგვძრეს, რადგანაც ვიცოდით, რომ ისინი გარეშე ხალხის განზრახვით მოქმედებდნენ. როგორც სჩანს, ევროპაში არავის არ უნდა იკისროს „ავათ მყოფის კაცის“ ექიმობა; ფრანციას და პრუსსიას უცხო-ქვეყნის საქმეების თვის მოცლა არა აქვს. ავსტრიას სახელმწიფო საძირკველი გადუბრუნდა და ჯერ ვერ მოუფიქრებია, რომელს მხარეში გაუმაგროს ძირი თავის იმპერიას; თუმცა რუსეთი აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც თავს დაჰყურებს, მაგრამ იმის ახლანდელი პოლიტიკა და ერთ დროს ისპანიის კაროლის ფილიპე II პოლიტიკა ერთმანეთს ეთანხმებიან: ის ამბობდა თავის მეფობაში: „მე ვარ და ჩემი დროო“. უეჭველად აღმოსავლეთის საქმესაც დრო მოუა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დამდგარა. საბერძნეთი ვერ აღძრავს ამ საქმეს და რომ კიდეც აღძრას, მაინც იმისთვის კეთილად არ ჩაივლის. თუ მარჯვე დრო დადგა, შეიძლება ოსმალები გაჰყარონ და კიდეც უნდა გააგდონ ბოსფორს გაღმა; მაგრამ ბერძნებს მაინც არ შეუძლიანთ ისევ აღადგინონ აქ ძველი იმპერია. თვით ოსმალეთის სახელმწიფოც ასე ადვილათ არ დაეცემა. ის თავის თავს სხვას ადვილათ არ მოაკვლევინებს. ამასთანავე ესეც უნდა ვთქვათ, რომ ბერძნის ხალხი ისე ძლიერი ხალხი არ არის, რომ ოსმალოს იმპერიის დარღვევის შემდეგ, ის გახდეს იმის მაგიერი; იმისთვის იმას არც ღონე მოსდევს და არც სიცხოველე. უკანასკნელი დღე ოსმალეთის იმპერიისა საბერძნეთისთვის მეტად სასაშიშრო იქმნება. რაკი რომ ოსმალეთის მთვარე მიიქცევა იქით კენ, საითაც მოსულა, თვით ბალკანის ნახევარ კუნძულზედ ასეთი შეჯახება იქმნება სხვა და სხვა ხალხებისა, რომ უფრო შესაძლებელია საბერძნეთს რამე სამძიმო საქმე შეემთხვეს, მინამ მოიპოვოს დიდება და ძლიერება.

**ფრანცია.** როგორც სტატისტიკური ცნობებიდამ შევიტყეთ, გულს მოდგინე მეცადინეობა უ. დიურუსა, რომელიც არის ფრანციაში სახალხო განათლების მინისტრი, არ დარჩენილა უნაყოფოდ. თუმცა მართალია, რომ ფრანციაში ჯერ კიდევ ხალხში ძალიან ბევრმა არ იცის წერა-კითხვა, მაგრამ 1863 წლიდამ 1865 წლამდე იმდენათ გავრცელდა ხალხში წერა-კითხვა, რომ ას კაცში წიგნის მცოდნელი სამი მოემატა. ეს ამბავი მით უფრო სანუგეშოა, რომ 1848 წლიდამ 1863 წლამდე, ესე იგი 15 წლის განმავლობაში ას კაცზედ რვას მეტი არ მომატებია წერა-კითხვის მცოდნელი, ისე რომ ერთის წლის განმავლობაში ას კაცზედ ერთი კაციც არ მოდის, რომ წერა კითხვა დაესწავლოს. როგორც წინათ, ახლაც ისე აღმოსავლეთის პროვინციებში, რომელნიც გერმანიაზედ ახლო არიან, უფრო ვრცელდება წერა-კითხვის დასწავლა. ვოგეზაში ორი კაციც არ მოიპოვება, რომ წერა-კითხვა არ ესწავლოს შკოლაში. ამ თერთმეტს ნემეცურს დეპარტამენტებს შემდეგ უნდა ვახსენოთ პარიჟი. ზოგიერთს დეპარტამენტებში განათლება კიდეც შემცირდა. ამ შემთხვევაში ზედა-ვიენის დეპარტამენტს უჭირავს უკანასკნელი ადგილი. იქ მთელი ნახევარი რიცხვი მცხოვრებლებისა სულ გაუნათლებელნი არიან. არიეჟის დეპარტამენტი უწინ განათლებით უკანასკნელი იყო, ახლა კი ბევრით ხელი-წამოიყარა ამ შემთხვევაში. ის არის სიაში მე ოთხმოცდა მეხუთედ მოხსენებული: იქ ახლა ნახევარზედ ბევრით მეტია, რომელთაც წიგნი უსწავლიათ. ამ გვარს ნაყოფს განათლებისას აბრალებენ

იმ შკოლებს, რომელნ
ბისთვის გახსნეს.

—ლილიდამ იწერე
ტომბერს ღამით იქაუ
მოაწყვეს, რადგანაც
მოხმარებას არეულობ
ლიც მუშებმა დენენში
მუშამ დაუწყო თავიან
რომ დღიური ფასი მო
ლილის გარნიზონის
ლიონი და ორი ე
გარნიზონისა გამოვი
ამ ამბის მეტი ჯერ ა

—„ლა-ფრანსი“ (I
რომ ეგვიპტის ვიცე
განუცხადა უცხო ს
კაირში, რომ მე
მჯობინო ეგვიპტის
ლობა; გადავაკეთო
როგორც ევროპის
სახელმწიფოები განიგ

**იტალია.** ვენე
1866 წ. 19 ოკტომბ
შეიყარნენ—ერთის მ
ლი ლებეფი, ფრან
ადიუტანტი და იმისვ
მეორეს მხრით გრაფ
ლერი ედუარდი ბეტ
კელდერი, რომლებიც
დგენდნენ.

ამასთან გენერალ
დეგი სიტყვა: „უფა
ლი იმპერატორის ნა
მივიღო ავსტრიელე
ვენის პროვინციების
მოქცეთ თქვენ ის უ
თმეს ჩემს ხელმწიფე
ძრახვით მიიღო იმპე
მობა. იმპერატორმა
თავისი აზრი წიგნში,
ლიის კაროლს, 11
უმჯობესს ვერას ვი
და ამისთვის ვალათა
გნი:

„მოწყალეო ხე
სიხარულით შევი
ბულებამ გამოაცხად
ზედ და პირველ—
დაც დათანახმდნენ
სტრიის იმპერატორ
ევროპაში დამყარდ
ვენმა დიდებულებამ
იმიტომ მივიღე, რო
ლებისაგან და გათხ
ტყუილი სისხლის

იყო, რომ ვენეცია თავის თავისთვისვე დაბრუნებინა, რომ იტალია გამხდარიყო თავისუფლათ ალპებიდგან ადრიატიკის ზღვამდინ. რაკი ვენეცია დაიწყებს თავის თავზედ ზრუნვასა, მაშინ შეიძლებს, ხმის მოკრებით, გამოუცხადოს თავისი სურვილი. თქვენი დიდებულება დაგვეთანახმება, რომ ამ შემთხვევაში ფრანცია ხელ-ახლა მოქმედობს კაცობრიობის შესამატებლათ და ხალხების თავისუფლებისთვის.“

მოწერილია III ნაპოლეონი.

„უფალნო: იმპერატორმა დიდი ხანია იცის თქვენის მხრის გულის წადილი. მათ დიდებულებამ იცის, რომ თქვენს მხარეს ჰსურს შეერთება ვიკტორ-ემმანუელის სახელმწიფოსთან, და რომლის შემწეობითაც ომობდა იტალიის განთავისუფლებისათვის. მაგრამ რადგანაც დიდი პატივი აქვს სახალხო (სანაციონალო) უფლებისა, ამტომაც იმპერატორმა ისურვა ვენეციელებისთვის მიეცა ის უფლება, რომ თავიანთი სურვილი გამოეცხადათ. იმპერატორი ამითი კიდევ უმტკიცებს თავის პა-

ქო რჩევის უფროსს ასსესორს.

უწინდელი საქალაქო რჩევის წევრნი სამსახურიდამ დაეთხოვნენ ამის შემდეგ უ. ლუიჯი მიჯიელიმ, კავალერმა დე-ბეტტამ, რომელიც არის ვერონიდამ, უ. ემი კალდერმა, (ეს არის მანტუიდამ) გამოუცხადეს ქალაქს, რომ იმას ნება აქვს თავისი მომავალი სვე გადასწყვიტოს.

ქალაქი მოირთო ბაირაღებით. ავსტრიის ღენარლები ალლემანი და მერინგი ჩასხდნენ ცეცხლის-გემში, რომელიც იდგა კაროლის სასახლესთან. ისინი განემგზავრნენ ცხრა საათზედ.

იმ დროს, როცა ცეცხლის-გემმა გაუარა Piazzetta-ს ღენერალმა ალლემანმა რამდენჯერმე თავი დაუკრა ხალხს, რომელიც ზღვის ნაპირას იყო შეგროვებული. ხალხი ტაშის კვრით ამგზავრებდა იმათ და იძახოდა: „ღმერთმა აღღერგძელოს ვიკტორ-ემმანუელი და იტალია!“ თერთმეტის ნახევარს იტალიის ესკადრა მოვიდა მალამოკკთან. ამ ესკადრის გემები მორთულნი იყვნენ ბაირაღებით და მიე-

ათასზედ მეტმა მისცეს ხმა; სოფლებიდამაც ძალიან სასიხარულო ამბები მოდის. სოფლის მღვდლები აძლევდნენ ხმას, სოფლის კაცებთან ერთად. ჩიტადელის მაზრაში მისცეს ხმა 7,012 კაცმა 8,000 კაციდგან, რომლებიც სიაში იყვნენ ჩაწერილნი. ქალაქის მანტუის სასულიერო წოდებამ მიართვა კაროლს ადრესი, რომელშიაც ის უცხადებს კაროლს თავის სიყვარულს, ერთგულობას და თანა-გრძნობას. მანტუის ეპისკოპოზმა თავის წარგზავნაში გამოაცხადა, რომ იმასა სწადს იტალიისთვის და კაროლისთვის ყოველი სიკეთე და კეთილი; ერთის სიტყვით სასულიერო წოდება თანაუგრძნობს ამ ახალს საქმეს. იმას ერთ დროს დიდათ უყვარდა ავსტრია, მაგრამ ახლა კი სრულებით წინაამდეგად იქცევა.

---

თორმეტს ქალაქში ორას თერთმეტი კერძო პირებს ეკუთვნოდა.

— ადმირალს ლიტვეს გრაფის ღირსება მისცეს.

პარიჟში ხუთი კაცი შეიპყრეს, იმისთვის რომ იმათ საიდუმლო საზოგადოების დაფუძნებას სწამობდნენ. ამ ხუთს კაცში უმეტესი ნაწილი სტუდენტებია.

**პეტერბურგი**, 28 ოკტომბერს. პრუსსიის პალატა 31 ოკტომბერს გაიხსნა. საფინანსო მინისტრმა წარადგინა ბუჯეტი 1867 წლისა. ამ ბუჯეტში არის მოხსენებული სახელმწიფოს შემოსავალი კონტრიბუციით 1866 წელს ას სამოცდა რვა მილიონი რვა ას სამოცდა ოთხი ათასი ტალერი. შემოსავალი აღნიშნულს შვიდი მილლიონით და ორას ათი ათასი ტალერით გადაემეტა. 30 ოკტომბერს შტუტგარდტს იყო დიდი გერმანიის პარტიის კრება, რომელმაც წარმოსთქვა, რომ საჭიროა დაარსდეს მკიდრო კავშირი სამხრეთის გერმანიის სახელმწიფოებს შორის.

## ბძანება ნამესტნიკის სამმართველოში.

მათმა იმპერატორებითმა დიდებულებამ, თავის ყოფნაში პეტერბურგს, 8 ნოემბერს 1866 წელს, გასცა შემდეგი ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში: დაიჯილდოებიან—დიდის გულ-მოდგინებისთვის და განსაკუთრებითის შრომისთვის იმ დებულების აღსრულების გამო გლეხებზედ, რომელნიც ბატონ-ყმობიდამ არიან გამოსულნი: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები—ტაინის სოვეტნიკობით: ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ორლოვსკი. კავკასიის ნამესტნიკის რჩევის წევრი და ზაკავკასიის მეჟევის პალატის მმართველი სტარიცკი. სტატსკი სოვეტნიკები—დეისტვიტელნის სტატსკი სოვეტნიკობით: უმთავრესი გამგებელი მეჟევის საქმეების გამო ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს სახაზინო ქონების დეპარტამენტისა-შუმლიანსკი. ტფილისის გუბერნიის გლეხების სამმართველოს წევრი—თ. ანდრონიკაშვილი. იმავე სასამართლოს წევრნი საქმის-მწარმოებელნი დოლინსკი და მამაცაშვილი. გამოეცხადებათ უმაღლესი მადლობა: ტფილისის უეზდის პირველის განყოფილების მიროვის პოსრედნიკს, გადამდგარს პოდ-პოლკოვნიკს თ. ორბელიანს, მიროვის პოსრედნიკების კანდიდატებს, ტფილისის უეზდის მესამის განყოფილებისას, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის მინდობილების აღმასრულებელს, კოლეჟსკი ასესორს მელიქ ბეგლა-

როვს, სიღნაღის უეზდის პირველის განყოფილებისას—ტიტულიარნის სოვეტნიკს თ. ჩნაძეს, და თელავის უეზდის მეორე განყოფილებისას—გადამდგარს პორუჩიკს-ყარალაშვილს.

8 ნოემბერს 1866 წელს, ტფილისში. ხელმწიფე იმპერატორმა, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის შუამდგომელობით ამ ნოემბრის 8 რიცხვს, უმოწყალესად უბოძა შემდეგს პირებს, დიდის გულ-მოდგინებისათვის და განსაკუთრებითის შრომისათვის იმ დებულების აღსრულებაში მოყვანების გამო გლეხებზედ, რომელნიც ბატონ-ყმობიდამ არიან გამოსულნი, შემდეგი ჯილდოები.

ორდენები: წმ. ვლადიმირის 2 ხარ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღომელს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ყიფიანს. წმ. სტანისლავის 1 ხარ. თელავის უეზდის პირველის განყოფილების მიროვის პოსრედნიკს, კავკასიის არმიაში მყოფს, მისის იმპერატორებითის დიდებულების სვიტის ღენერალ მაიორს, თ. ჭავჭავაძეს. წმ. ვლადიმირის 3 ხარ. ფინანსის დეპარტამენტის დირექტორს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ტიტოვს. წმ. ანნის 2 ხარ. ტფილისის უეზდის თავად-აზნაურობის წინამძღომელს, ტიტულიარნი სოვეტნიკს თ. ბარათაშვილს. წმ. სტანისლავის 2 ხარ. სიღნაღის უეზდის პირველის განყოფილების მიროვის პოსრედნიკს, ნადვორნი სოვეტნიკს, თ. ანდრონიკაშვილს, ტფილისის გუბერნიის სავლეხო სასამართლოს წევრს, კოლეჟსკის ასსესორს თ. ჩოლოყაშვილს და თელავის უეზდის თავად-აზნაურობის წინამძღომელს, კოლეჟსკი სეკრეტარს თ. მაყაშვილს. ანნის 3 ხარ. მიროვის პოსრედნიკებს, გორის უეზდის მესამის განყოფილებისას, გუბერნსკი სეკრეტარს ანანიაშვილს, იმავე უეზდის მეხუთე განოყოფილების, პოდპორუჩიკს ქვალიევს და სიღნაღის უეზდის მეორე განყოფილებისას, პრაპორჩიკს თ. ვაჩნაძეს. წმ. სტანისლავის 3 ხარ. მიროვის პოსრედნიკების კანდიდატებს; გორის უეზდის მესამე განყოფილების, პოდპორუჩიკს თ. აბაშიძეს, თელავის უეზდის პირველის განყოფილებისას, პრაპორჩიკს მგალობელიშვილს, გორის უეზდის პირველის განყოფილების, პრაპორჩიკს თ. ერისთავს. სიღნაღის უეზდის მეორე განყოფილებისას, კოლეჟსკი რეღისტრატორს თ. ანდრონიკაშვილს, ტფილისის უეზდის პირველის განყოფილებისას მესხიშვილს და ტფილისის მეორე განყოფილებისა მალალაშვილს.

ხელმოწერილია: უმთავრესის სამმართველოს ნაჩალნიკი, სენატორი, სტატს-სეკრეტარი

ბარონი ა. ნიკოლაი.